ოქმი:**ო02. 3725174001**

თარიღი:**23/06/2025**

ოქმი № 7

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2025 წელი, 23 ივნისი

ქ.ოზურგეთი

12:00-12:30 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე, - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლ. კილაძე, დ. ჭაკნელიძე, ნ. ჭანიშვილი, ნ. ურუშაძე, გ. შილაკაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. სარჯველაძე, თ. ტუღუში, არუშიძე, ლ. კილაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი,რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია დღის წესრიგის საკითხზე, დაასახელა ჭანიეთისა და ლიხაურის ადმინისტრაციულ ერთეულებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები, კერძოდ ამ ორი სოფლის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია,კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი